

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის
ოქმი: 4

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში 2016 წლის 7 სექტემბერს, 13:00 სთ.

ამოცანები:

ზიანის შემცირების სერვისების პაკეტის და მისი განფასების განხილვა.

ესწრებოდნენ:

თამარ გაბუნია - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ირმა ხონელიძე – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე
ირინა ჯავახაძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
ანა დოვახი - ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
დალი უშარიძე – არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი გზა“
პაატა საბელაშვილი – ევროპის ზიანის შემცირების ქსელის კონსულტანტი
მედეა ხმელიძე – საქართველოს ზიანის შემცირების ქსელი
ქეთევან სტვილია – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, აივ პროგრამის მენეჯერი
ალექსანდრე ასათიანი - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, აივ პროგრამის მონიტორინგის და შეფასების ოფიცერი
გიორგი სოსელია – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, აივ პროგრამის მონიტორინგის და შეფასების სპეციალისტი
ნინო ბადრიძე – ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის ეპიდემიოლოგიური განყოფილების გამგე
უჩა ნანავა - ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
სოფიო ასპანიძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის პროგრამების განყოფილების უფროსი
თეა ჯიბუტი – საერთაშორისო ფონდი კურაციო, ექსპერტი ტუბერკულოზის საკითხებში
ნატალია გორდეზიანი - საერთაშორისო ფონდი კურაციო, პროექტის კოორდინატორი
ქეთევან ჩხატარაშვილი – საერთაშორისო ფონდი კურაციო, პრეზიდენტი
გიორგი მალრაძე - საქართველოს ჯანმრთელობისა და განათლების ხელშეწყობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე
დავით კახაბერი - ლგბტ საქართველო

ლაშა თვალთაშვილი - აივ-ინფორმაციული თემის წარმომადგენელი
ირაკლი კაციტაძე - გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის ადგილობრივი
ფინანსური აგენტი
ირინა გრძელიძე – ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
მაკა დანელია – პასკ, პოლიტიკისა და ადვოკატორების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ გაბუნიაძე, რომელიც მიესალმა დამსწრეებს, აღწერა შეხვედრის მიზნები და ხაზი გაუსვა ზიანის შემცირების მნიშვნელობას.

ქ-ნმა მედია ხმელიძემ წარმოადგინა ზიანის შემცირების სერვისების პაკეტის სამუშაო ვერსია. პრეზენტაცია მოიცავდა შედეგს: ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა მომსახურების მონიტორინგის შედეგები, ნემსებისა და შპრიცების და ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების ბენეფიციარებისთვის პრიორიტეტული სერვისები, ზიანის შემცირების სერვისების ძირითადი პაკეტი, რომელიც უნდა გადავიდეს შიდა დაფინანსებაზე, რაც მოიცავს ნემსებისა და შპრიცების, ჩანაცვლებითი თერაპიის და რეაბილიტაციის პროგრამებს, ამ სერვისების განფასება და აგრეთვე, რეგიონალური პროგრამის "ზიანის შემცირება მუშაობს - დააფინანსე იგი" ძირითადი ნაბიჯები, მიღწევები და პრიორიტეტები გარდამავალ პერიოდში.

პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია. ქ-ნმა თამარ გაბუნიაძე დასვა შეკითხვა წარმოდგენილ პაკეტში არსებულთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ. ქ-ნმა ხმელიძემ უპასუხა, რომ პაკეტი იყო შესწორებული ბენეფიციართა მოლოდინის და დამოკიდებულების გათვალისწინებით, კერძოდ, აქცენტი გაკეთდა სოციალური თანხლებასა და თანასწორთა განათლებაზე, ქალებზე ორიენტირებულ სერვისებზე, მობილური ამბულატორიაზე, ასევე C ჰეპატიტის და ტუბერკულოზის პროგრამებთან ინტეგრაციაზე. მან, ასევე, ხაზი გაუსვა რეგიონული დიალოგის მნიშვნელობას მომსახურების შენარჩუნებაზე სახელმწიფო პასუხისმგებლობის გაძლიერებისთვის.

ქ-ნმა ირმა ხონელიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პაკეტი არის არ არის საკმარისად დეტალური იმისთვის, რომ მოხდეს განფასება და გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად, ქალებზე ორიენტირებული მომსახურება შეიძლება მოიცავდეს აქტივობათა ფართო სფეროს. ეს აქტივობები უნდა იყოს მითითებული და გარდა ამისა, მტკიცებულებებით გამყარებული. როდესაც ასეთი საქმიანობის ჩამონათვალი პაკეტში ცნობილია, განფასება არ არის პრობლემატური. ამ იდეას მხარი დაუჭირა ქ-ნმა თამარ გაბუნიაძე, რომელმაც მიუთითა, რომ საჭიროა დეტალური პაკეტი, რაც ამავე დროს, ძირითად ხარჯთან დაკავშირებული ფაქტორების იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს. ქ-ნი ხონელიძე - უკვე ცნობილია, რომ ხარჯების 2/3 დაკავშირებული ადამიანურ რესურსებთან. ქ-ნმა ანა დოვბახმა უპასუხა, რომ ოპტიმიზაცია უნდა ეფუძნებოდეს მომსახურების სტანდარტებს, რომელიც აღწერს თუ როგორია პერსონალის საჭიროება ერთი საიტის ფუნქციონირების და კლიენტების მოცემული რაოდენობის მომსახურებისთვის. ქ-ნმა დალი უშარიძემ

აღნიშნა, რომ მომსახურების სტანდარტებზე მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს. ბ-ნმა ირაკლი კაციტაძემ იკითხა, თუ ასეთი სტანდარტები შემუშავდება მასალებთან დაკავშირებით, მაგალითად, რამდენი შპრიცი შეიძლება გაიცეს ერთ ადამიანზე. ქ-ნი ანა დოვბახი - ჯანმოს აქვს გარკვეული რეკომენდაციები ამ საკითხებზე და არსებობს საერთაშორისო გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში იყენებენ სხვადასხვა სტანდარტების, არსებობს შესაძლებლობა, რომ გათვლები დაეფუძნოს ისტორიულ მტკიცებულებებს.

ქ-ნმა ქეთევან ჩხატარაშვილმა აღნიშნა, რომ დეტალები, როგორცაა მომსახურების სტანდარტი არ შედის გარდამავალი გეგმაში და შეიძლება დაემატოს როგორც დანართი. თუმცა, განფასების დაწყებამდე აუცილებელია შეთანხმება მომსახურების პაკეტზე. გარდა ამისა, თუ მომსახურების ღირებულება, საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნებში, აუცილებელია მიზეზების ანალიზი და ოპტიმიზაციის შესაძლებლობების გამოვლენა. ქ-ნი ანა დოვბახი - ჩანაცვლებითი თერაპია ძვირია, მაგრამ თუ დავაკვირდებით მიდგომებს სხვადასხვა ქვეყნებში ფასის და ხარისხის თანაფარდობა უნდა იყოს გათვალისწინებული. ზიანის შემცირების სერვისები არ გულისხმობს ერთი და იმავე პაკეტს მთელ რეგიონში. ქ-ნმა მედეა ხმელიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მომსახურების პაკეტი უკვე შეთანხმებულია ამ სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებსა და მათ ბენეფიციარებთან.

ზიანის შემცირების ეროვნული სტანდარტის გარდა შემოთავაზებული იყო სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაკონტრაქტების ოპერაციული სახელმძღვანელოს შექმნა. როგორც ქ-ნმა ხონელიძემ ახსნა ეს პროცესი ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს და, შესაბამისად, ოპერაციულ სახელმძღვანელოს არ შეუძლია შეცვალოს კანონის მოთხოვნები. ეს მოთხოვნები არის მკაცრი, მაგრამ ისინი მკაცრია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, საკუთრების ფორმის მიუხედავად. ამჟამად დაავადებათა კონტროლის ცენტრი აფორმებს კონტრაქტებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში და პროცესი არ იქნება განსხვავებული საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადასვლის შემდეგ. ოპერაციული სახელმძღვანელოს გამოყენება შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის სამართლებრივი მოთხოვნების ასახსნელად; თუმცა, შემსყიდვლისთვის ასეთი განმარტება საჭირო არ არის, რადგან თავად კანონში ყველაფერი დეტალურადაა გაწერილი.

ქ-ნმა დოვბახმა აღნიშნა, რომ ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელი მზად არის უზრუნველყოს ტექნიკური დახმარება, მაგრამ საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა დაავადებათა კონტროლის ცენტრთან.

შემაჯამებელ სიტყვაში ქ-ნმა თამარ გაბუნია აღნიშნა, რომ პროცესი მნიშვნელოვანია, გარდამავალი გეგმაში უნდა გამოიკვეთოს ძირითადი ნაბიჯები თანამდევნი ხარჯებით. ზიანის შემცირების არის კრიტიკული კომპონენტი, რომლის შენარჩუნებაც აუცილებელია. სერვისის შენატანების, პროცესის და შედეგების აღსაწერად უნდა შემუშავდეს გაიდლაინი შესაბამისი პროტოკოლებით, რაც მის დაწერვას შეუწყობს ხელს. ევრაზიის და საქართველოს ზიანის შემცირების ქსელის ტექნიკური დახმარება

მისასაღმებელია, პოლიტიკის და ადვოკატირების კომიტეტი საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც მზად არის უზრუნველყოს უკუ-კავშირი და ადვოკატირება საკოორდინაციო საბჭოსთან, როდესაც დასრულებული დოკუმენტები იქნება წარმოდგენილი.

გადაწყდა:

ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას ზიანის შემცირების მომსახურების დეტალური პაკეტის განსაზღვრისა და განფასებისათვის.

ზიანის შემცირების სერვისების ეროვნული სტანდარტი შემუშავდება ადგილობრივი კონსულტანტის დახმარებით, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება დაავადებათა კონტროლის ცენტრის, თანადგომის, ევრაზიის და საქართველოს ზიანის შემცირების ქსელების და ეროვნული ნარკოპოლიტიკის პლატფორმის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული თემატური ჯგუფის მიმართ.

მაკა დანელია

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

ოქმის შემდგენელი

მაკა დანელია

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი